დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე
წევრები:
სახელი, გვარი: ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არაგეგმიური

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 04 ნოემბერის N 1414240 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 11 ნოემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა.) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“. თავდაპირველად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №140 გადაწყვეტილებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა და განისაზღვრა 96 სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია „ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 16 მაისის №539334 გადწყვეტილებით დაწესებულებამ შეიცვალა პროგრამის განხორციელების ფართი და პროგრამა ხორციელდებოდა მისამართზე ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის №1/ პეკინის გამზირი №42ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ შეიცვალა პროგრამის განხორციელების ფართი და პროგრამა ხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	96	81	82	20

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არ გამოვლენილა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.5 ექპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ქვეყანაში მოქმედი კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტების ცვლილებების, შემუშავებული სასწავლო რესურსების და დარგში მიმდინარე სიახლეების შესაბამისად მოახდინოს მოდულებში სასწავლო რესურსების განახლება.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მხრიდან სრულად იქნა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღწერილი გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ახორციელებს ახალ მისამართზე ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, № 22ა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეესტრის ამონაწერის თანახმად 2024 წლის 1 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს 2034 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით სარგებლობში გადაეცა აღნიშნულ მისამართზე არსებული ფართობი: 5130.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2. შენობა-ნაგებობის ფართი 5098.72კვ.

ექპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ მფლობელობაში არსებული აღნიშნული ფართის მეორე სართულზე პროფესული საგანმანათლებლო პროგამის განხორციელებისათვის გამოყოფილია A გარემო-1 (№214), AC გარემო- 1 (№213), B გარემო-1 (№207). გარდა ამისა ფართში ასევე განლაგებულია ფოიეები, სტუდენტთა მოსასვენებელი/სარეკრეაციო/სამუშაო სივრცეები, სანიტარული კვანძები (მათ შორის ადაპტირებული), პირველადი სამედიცინო დხმარების ოთახი, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახები, ადმინისტრაციული სივრცეები, არქივი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, ლიფტით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო ავეჯით, მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.1 შეფასდა შესბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დოკუმენტში დაწესებულების მიერ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის უფლებისა და წესეების შესახებ. აღნიშნულის თანახმად მათ უფლება აქვთ ისარგებლონ საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ექპერტთა ჯგუფის მიერ სივრცეების ფიზიკური დათვალიერების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკას, სამუშაო და სამეცადინო სივრცეებს, მათთვის გამოყოფილ კომპიუტერებს და სხვა.

დაწესებულებას შინაგანაწესის შესაბამისად გაწერილი აქვს, რომ „უნივერსიტეტი საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, თავისი მატერიალურ ტექნიკური რესურსის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, თავის საკუთრებაში არსებულ ტექნიკურ საშუალებებს დროებით სარგებლობაში გადასცემს სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს.“ მათ მიერ მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი სტუდენტისთვის სხვადასხვა მატერიალური რესურსის (მაგ. ლეპტოპი, პროექტორი და სხვა) დროებით სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები.

პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთათვის ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა ინტერვიურების შედეგადაც დადასტურდა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.2 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულების (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა

ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 27 მარტის № 01-18/052 ბრძანებით) თანახმად ლოგისტიკისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთი ამოცანაა უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავების უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა. აღნიშნულ დეპარტამენტში შედის დასუფთვების სამსახურის სტრუქტურული ერთეული (მუხლი 19.) რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, შინაგანაწესის IV თავით განსაზღვრული „მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესებითა“ და სხვა შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებით.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ დამლაგებლები, რომლებსც ევალებათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრების სამუშაო სივრცის დალაგება-დასუფთავება; სასწავლო პროცესის დაწყებამდე, უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიის დალაგება-დასუფთავება; ყოველი ლექციის შემდეგ, აუდიტორიების შემოწმება და წესრიგში მოყვანა; სამუშაო დღის მანძილზე, სველი წერტილების სისუფთავის მუდმივი კონტროლი; ჰიგიენური საშუალებების მარაგის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, მათი შევსება; ნაგვის ურნების პერიოდული მონიტორინგი, დაცლა და პარკების გამოცვლა; ჰიგიენური საშუალებების მარაგის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში, ლოჯისტიკისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულებაში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და პერსონალთან ინტერვიურებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.3 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა დაწესებულების შენობებში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური და ფაქტობრივი დათვალიერება (ვიზიტის მიმდნარეობისას სისტემა ყველა სივრცეში იყო ჩართული და გამართულად მუშაობდა). აღნიშნულის ფუნქციონირება ასევე დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით და კომუნალური გადახდის ქვითრებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.4 შეფასდა შესაბამისად, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სერტიფიცირებულ უსაფრთხოების 2 სპეციალისტთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინსტიტუტის ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების დაცვას. აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნება დაგეგმე, განახრციელე, შეამოწმე, განავითარე პრინციპებს და ორიენტირებულია რისკების შეფასების, რეაგირებისა და მონიტორინგის მექანიზმების განვითარებაზე.

დაწესებულების მხრიდან მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იქნა რისკების შეფასების დოკუმენტი, ინსტრუქტაჟების ჩატარების აღრიცხვის ჟურნალები და სხვა. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, წარმოდგენილი შევსებული ფორმები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობები შესაბამისობაშია შრომის უსაფთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით, მოცემული კატეგორიის დაწესებულებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.5 შეფასდა შესაბამისად დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. შინაგანაწესის დოკუმეტში გაწერილია მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები. მუხლი 5. მატერიალური რესურსით/მასალებით უზრუნველყოფის წესის თანახმდ „კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენა ხორციელდება, ამავე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელმძღვანელისადმი/კანცლერისადმი წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მატერიალური რესურსის გაცემის ფაქტი აღირიცხება ელექტრონულად ლოგისტიკის სამსახურის მიერ, სადაც აღინიშნება გაცემული მასალის დასახელება, მასალის რაოდენობა, გაცემის თარიღი და მიმღები პირი. მოთხოვნილი მატერიალური რესურსის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით ადასტურებს მოთხოვნის წარმდგენი/მიმღები პირი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სისტემის გამართულად მუშაობა დადასტურდა პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან გასაუბრებითა და შესაბამისი შევსებული ელექტრონული ფორმების შემოწმებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.6 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა მექანიზმების შესაბამისად სამსახური ყოველ წელს ატარებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანონიმურ კვლევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის დოკუმენტის თანახმად კვლევის ინსტრუმენტი 3 ძირითადი კომპონენტის შეფასებისგან შედგება: უნივერსიტეტის შენობის და აუდიტორიების კეთილმოწყობა; GIPA-ს ელექტრონული ბაზა PORTAL.GIPA.GE და საბიბლიოთეკო სერვისები; სხვა სერვისები/საკითხები. „მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების მიზანია, გამოავლინოს აღნიშნული მიმართულებით GIPA-ს სტუდენტთა დამოკიდებულება - როგორც დადებითი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები და გაიზიაროს მათი მოსაზრებები შემდგომი გაუმჯობესებისათვის.“

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შემხებლობაში მყოფმა ყველა სამსახურმა თუ ადმინისტრციულმა ერთეულმა სუბრისას დადებითად და ეფექტინად შეაფასა აღნიშნული კვლევის მიერ გამოვლენილი შედეგები და მათზე რეაგირების მაგალითები. გასაუბრების დროს აღანიშნული ფაქტები დადასტურებული იქნა პროფესიული სტუდენტების მიერაც.

ექსპრტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.7 შეფასდა შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაქტობრივი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებობს გამიჯნული (ქალის ცალჯე, კაცის ცალკე) სანიტარული კვანძები, რომელიც უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, ვინტილაციის საშუალებით, პირადი ჰიგიენის საშუალებებით. შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომია ადაპტირებული სანიტარული კვანძები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.8 შეფასდა დადებითად, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებს, ბიბლიოთეკას, შეხვედრების ოთახებსა და საგამოცდო სივრცეებს აქვს როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 5.1.1.9 შეფასდა შესაბამისად, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ დაწესებულებას გამიჯნული და იზოლირებული აქვს ადმინისტრაციული, სასწავლო, სამუშაო, რეკრეაციული სივრცეები. მასწავლებლებისათვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახები. ამგვარი განლაგება ხელს უწყობს ძირითადი პროცესების ეფექტურად წარმართვას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.20 შეფასდა შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ოთახში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ბიბლიოთეკებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ზოგადი ინსტრუქცია“.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა. საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე ინსტიტუტში რეგისტრირებული ყველა პირისთვის. დაწესებულებას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით და სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით. არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.1.11 შეფასდა შესაბამისად, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რეესტრის ამონაწერი (№ 882024917463);
- მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- მატერიალური რესურსების სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო დავალებები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სტუდენტებისთვის მატერიალური ესურსების დროებით მფლობელობაში გადაცემის დოკუმენტი;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულების (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 27 მარტის № 01-18/052 ბრძანებით);
- შინაგანაწესი (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის №01-18/057 ბრძანებით);
- რისკების შეფასების დოკუმენტი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სრვისების შეფასების ანგარიში;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინტიტუტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის №01-24/51);
- ბიბლიოთეკის ელექტრონლი კატალოგი;
- ჩატარებული ინტერვიუები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებლება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ 2024 წლის 4 ნოემბერს გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №481, რომელიც შეფასდა სტატუსით-შეესაბამება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ფართი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობებით, ცეცხლმაქრებით, შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ შესაბამის მეთვალყურეობას გარკვეული პერიოდულობით.

ასევე დაწესებულების მხრიდან წრმოდგენილი იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 04 ივლისის №004637119 ექსპერტიზის დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის დამაკმაყოფილებლად შეფასების შესახებ, რაც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობები მდგრადი და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.2.1 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N01-22/285 ბრძანებით). დოკუმენტის შესაბამისად უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ თანამშრომელს, სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელ პირს, მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან პირველადი გადაუდებელი დახმარება. თუკი აღნიშნულ პირს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეუძლია სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელ პირთან მისვლა, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირი უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერს, რომელიც ვალდებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით უზრუნველყოს აღნიშნული პირის გადაყვანა სამედიცინო კაბინეტში. იმ შემთხვევაში თუ პირის გადაადგილება მდგომარეობიდან გამომდინარე სახიფათოა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირი უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საჭიროების მქონე პირთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინსტიტუტს ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი. შენობაში გამოყოფილია სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითა და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ ყველა პირი ინფორმირებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების მიღების მექანიზმების შესახებ, იციან შესაბამისი პირის და სამედიცინო ოთახის არსებობის შესახებ და ფლობენ ინფორმაციას სერვისი მიღების წესებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.2.2 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანგებო მართვის გეგმა (დამტკიცებულია ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი 2024 წლის 2 ოქტომბრის N01-24/311 ბრძანებით), რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ (წერილი MIA 4 24 03083621 2024 წლის 08 ოქტომბერი).

ინსტიტუტში მოქმედებს საგანგებო შტაბი და საგანგებო მართვის გეგმაში გაწერილია წევრების ფუნქციონალური მოვალეობები. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 08 ოქტომბრის N01-24/329 ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი შეესაბამება კანონმდებლობითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.2.3 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგისა და უსაფრთხოების კონტროლის მიზნით ხელშეკრულება (დაცვითი საქმიანობის შესახებ) გაფორმებული აქვს კერძო დაცვით ორგანიზაციასთან შპს მაგისტრი. შენობაში არსებულ ყველა სართულზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, რომელთა კონტროლს აწარმოებს ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ გამოყოფილი დაცვის თანამშრომელი დაცვის ოთახში განლაგებული მონიტორების საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას. იგი ასევე ვალდებულია გააკონტროლოს შენობაში შემომსვლელი უცხო პირები.

ინსტიტუტში ასევე მოქმედებს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2022 წლის 13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ოქტომბრის N01-22/285 ბრძანებით). გწერილი წესებისა და განხორციელებული პროცედურების ერთობლიობა დაწესებულებაში ქმნის წესრიგსა და უსაფრთხო გარემოს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.1.2.4 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებლება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2024 წლის 4 ნოემბერის სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №481;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 04 ივლისის №004637119 ექსპერტიზის დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N01-22/285 ბრძანებით);
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანგებო მართვის გეგმა (დამტკიცებულია ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი 2024 წლის 2 ოქტომბრის N01-24/311 ბრძანებით);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA 4 24 03083621 2024 წლის 08 ოქტომბერი;
- ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 08 ოქტომბრის N01-24/329 ბრძანება ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ჩატარებული ინტერვიუები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები მარაგდება ქსელური ინტერნეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობასა და შესაბამისი სერვისების გაწევაზე. ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიასთან სს სილქნეტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.1.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. დაწესებულებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა ხორციელდება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 8 მაისის №01-24/161 ბრძანებით) შესაბამისად. ელექტრონული სერვისების რისკები დაკავშირებულია მონაცემთა დაკარგვასთან/დაზიანებასთან, კონფიდენციალურობის დარღვევასთან, უნებართვო შეღწევასთან და სერვისის მიწოდების წყვეტასთან, რომლის შემცირების მიზნით უნივერსიტეტში მიმდინარეობს მონაცემთა სარეზერვო ასლების წარმოება, (ყოველდღიურად და ყოველკვირეულად), სისტემური სარეზერვო ასლების წარმოება ასევე ხორციელდება სისტემების და სერვისების მდგრადობის და შეუფერხებლად ფუნქციონირების მონიტორინგი.

რისკების შესამცირებლად კოლეჯის ქსელი დაყოფილია რამოდენიმე ვირტუალურ ქსელად. ასევე გამიჯნულია უსადენო ინტერნეტ კავშირიც, სტუდენტებისთვის და გარეშე პირებისთვის, რომელსაც შიდა რესურსებთან წვდომა აკრძალული აქვს. კომპიუტერულ კლასებში არსებული კომპიუტერები ჩართულია დომენურ ქსელში და იმართება ცენტრალიზებულად. კოლეჯში არსებულ თითოეულ კომპიუტერი დაცულია შიდა

ანტივირუსით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში/ საკუთრებაში აქვს ორი ფიზიკური სერვერი. რომლებიც უზრუნველყოფენ ქსელის გამართულ და უწყვეტ ფუნქციონირებას. ასევე დაწესებულება მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს „გრენა“-სგან ვირტუალური სერვერებით. აღნიშნულ სერვერებზე განთავსებულია მონაცემთა ბაზა „PORTAL.GIPA.GE“, ფინანსური წარმოების სისტემა „ORIS Manager“, „ASSETS.GIPA.GE“ ლოგისტიკის სამართავი პროგრამა, უნივერისტეტის საჯაროდ გამოქვეყნებული ვებ გვერდები, ელექტრონული სერვისები (koha, moodle, eduroam, და სხვა).

ვირტუალური სერვერების უსაფრთხოებაზე, რისკების განსაზღვრაზე და პრევენციაზე პასუხისმგებელია ასოციაცია „გრენა“, რომელიც აწარმოებს სენსიტიური და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ყოველდღიურ და ყოველკვირეულ სარეზერვო ასლებს. დაწესებულების მიერ მტკიცებულებად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

წარმოდგენილი იქნა ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციასთან „გრენა“ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.1.2 შეფასდა შესაბამისად, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით მოქმედებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შედგენილი ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალური მონაცემების დაცვის მთავარი ასპექტები, როგორიცაა მონაცემების დამუშავება, დამუშავებული ინფორმაციის მიზნობრიობა, მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები, პროფესიული სტუდენტების ბაზის ადმინისტრირება, ვიდეოკონტროლისა და აუდიოკონტროლის განხორციელება, ელ-ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენება, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და სხვა.

დაწესებულების მხრიდან ფიზიკურ და ვირტუალურ საჯარო სივრცეში არ ხდება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის არ იდება ფოტო-ვიდეო მასალა თუკი არ არის მასზე არსებული პირების მიერ გამოცხადებული თანხმობა.

დაწესებულებას კანონმდებლობის შესაბამისად აყვანილი ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.1.3 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სმსახურის მიერ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანონიმური კვლევის შედეგად.

გარდა ამისა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინსტიტუტში მუდმივ რეჟიმში იმყოფებიან ამავე სამსახურის თანამშრომლები, რომელთა მიერ ხდება ყველა ტიპის პროცესის წინა საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის მონიტორინგი, რათა არ მოხდეს შეფერხება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა კვლევის შედეგები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოვლენილი ინტერნეტის/ WI-FI ხარისხის გაუმჯობესების საჭიროების საპასუხოდ განხორციელებული განვითარების აქტივობებთან დაკავშირებით. მექანიზმებისა და მტკიცებულებების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება მუდმივად ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სისტემის მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე მყისიერად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და ზრუნავს განვითარებაზე. აღნიშნული დადასტურდა დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.1.4 შეფასდა შესაბამისად, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამის პირებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია პრინტერის აპარატი და უწყვეტი WI-FI სერვისი.

დაწესებულების შინაგანაწესის დოკუმენტის თანახმად საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტი უზრუნველყოფს პერსონალის და სტუდენტისთვის კომპიუტერული ტექნიკის დროებით სარგებლობაში გადაცემას.

ექსპერტთა ჯგუფისმიერ ინდიკატორი 5.2.1.5 შეფასდა შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შიდა ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებისა და ადმინისტრირების მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 16 იანვრის №01-23/3 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რომელი ელექტრონული არხები გამოიყენება, მათი გამოყენების მიზნობრიობა, პასუხისმგებელი პირები და არხებით მოსარგებლე მხარეების უფლება-მოვალეობები.

ინსტიტუტში ადმინისტრაციული პერსონალის, მასწავლებლებისა და სტუდენტების ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება კორპორაციული და სტუდენტური ელექტრონული ფოსტები და ელექტრონული პლატფორმა portal.gipa.ge. უნივერსიტეტის ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამართულ ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. პორტალის გამართული სერვისების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება ი/მ დავით დემეტრაშვილთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური ვალდებულია უნივერსიტეტში დასაქმებული პირი სამუშაოს დაწყებიდან, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს კორპორაციული/ სტუდენტური ელექტრონული ფოსტის მისამართით.

დაწესებულებაში შიდა ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის გამართული მუშაობა დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს გზითაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.1.6 პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერნეტ დომენ სს სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 8 მაისის №01-24/161 ბრძანებით);
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაო აღწერილობა;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი;
- ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“ მომსახურების ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის №01-18/057 ბრძანებით);
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შიდა ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებისა და ადმინისტრირების მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 16 იანვრის №01-23/3 ბრძანებით);
- პორტალის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- ელექტრონული პორტალი portal.gipa.ge;
- ჩატარებული ინტერვიუები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შინაგანაწესის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის №01-18/057 ბრძანებით) დოკუმენტში თავი II გაწერილია საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმადაც დაწესებულება საქმისწარმოებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესის და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე.

წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზებას, ადგენს დოკუმენტებისა და განცხადების/წერილების, ბრძანებების, ხელშეკრულებების და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმების წარმოების და სისტემატიზაციის პროცედურებს, ასევე საარქივო საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტში ასევე გაწერლია შემოსული დოკუმენტების დამუშავების წესი, მიღება, რეგისტრაცია და განაწილება; გასაგზავნი დოკუმენტის დამუშავების წესი; სტუდენტებისთვის (მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის და მსმენელებისთვის) ცნობების მომზადება და გაცემა; უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებების სისტემატიზაცია; უნივერსიტეტის მმართველობითი ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმების ორგანიზება; უნივერსიტეტის სახელით გაფორმებული ხელშეკრულებების წესი; ბეჭდისა და ფაქსიმილიის გამოყენების წესები. საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების/საკითხების ზედამხედველობას ახორციელებს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.2.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. დაწესებულებაში საქმისწარმოება, მისი შინაარსის გათვალისწინებით, ხორციელდება ელექტრონულად, პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eDocument) მეშვეობით, ასევე სტუდენტთა განცხადებების/ცნობების მომზადებასთან/გაცემასთან დაკავშირებით საქმისწარმოება ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის (PORTAL.GIPA.GE) მეშვეობით. დაწესებულებაში აქტიურად გამოიყენება კორპორაციული/ სტუდენტური ელექტრონული ფოსტა კმუნიკაციისა და დოკუმენტების მიმოცვლისათვის.

გასული და შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვისას ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: თითოეული წერილი ელექტრონულ ფორმატში კონვერტირდება და ელექტრონულ ჟურნალში ტარდება, მატერიალურთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს მოხდა ელექტრონული სისტემის (eDocument), ელექტრონული ფოსტების (შერჩევითობის პრინციპით) და PORTAL.GIPA.GE- პლატფორმის გადამოწმება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულება იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მართვის ადმინისტრაციული პროცესებისა და ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.2.2 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ინსტიტუტში განსაზღვრულია ემისის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები, რომლის თანახმად, იგი უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას evet.emis.ge სისტემაში. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ინფორმაციის სრულყოფილად და კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის ასახვის საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.2.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კერძოდ, შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან შემოსულ კორესპონდენციებზე დაწესებულების მიერ რეაგირების საკითხი, აღნიშნული დასტურდება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემოსული და გასული კორესპონდენციების Edoc ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში გადამოწმების და საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირების გზით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.2.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის №01-18/057 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ემისის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა Edoc;
- ჩატარებული ინტერვიუები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს აქვს ორენოვანი ვებგვერდი https://gipa.ge/, რომელზეც განთავსებულია ჯიპას მისი, ხედვა, ღირებულებები, მარეგულირებელი და სტრატეგიული დოკუმენტები, ინფორმაცია პარტნიორების, საგანმანათლებლო პროგამების, პერსონალის, სტუდენტური კლუბების, პროექტების შესახებ და სხვა. საიტზე ასევე განთავსებულია სიახლეების ველი სადაც სისტემატიურად ახლდება ინფორმაცია.

ვებგვერდზე ჩაშენებულია ნავიგაციისა და საკონტაქტო ინფორმაციის ველი, სადაც ასევე ღილაკის საშუალებით შესაძლებელია ჯიპას Facebook, Instagram Linked in და Youtube გვერდებზე გადასვლა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გვერდის, სოციალური ქსელებისა და სხვა აღნიშნული პლატფორმების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ აქტიურად თავსდება შესაბამისი ინფორმაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს როგორც საინფორმაციო ასევე საკომუნიკაციო ფუნქციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის „გრენა“ დომენების Gipa.ge და Gipa.edu.ge ფლობის დამადასტურებელი წერილი, მომსახურების ხელშეკრულება და გადახდის ქვითრები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.3.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. ა(ა)იპ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისია ითვალისწინებს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კვლევითი საქმიანობის, აკადემიური და პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას. შესაბამისად, დაწესებულებას გააჩნია ორენოვანი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ვებგვერდი https://gipa.ge/.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.3.2 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

3. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდის, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების ადმინისტრირების წესის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 13 მარტის ბრძანებით) თანახმად უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების ადმინისტრირებასა და მათზე უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე/განახლებაზე და მის ადვილად ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი არის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური.

უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე განსათავსებული ინფორმაციის შინაარსის სისწორეზე, აგრეთვე სტილისტურ გამართულობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ინფორმაციის მომწოდებელი სტრუქტურული ერთეული. ინფორმაციის შინაარსობრივ სისწორისა და სტილისტურ გამართულობის კონტროლს აგრეთვე ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნებამდე სამსახურის თანამშრომელი კოორდინაციაში არის ადმინისტრაციის იმ წარმომადგენელთან/სამსახურთან ვის პასუხისმგებლობაშიც არის ინფორმაციაში მოცემული საკითხი. მომზადებული სიახლე, დოკუმენტი, ინფორმაცია თუ სხვა საჯაროდ არ განთავსდება შესაბამისი პირის მიერ დასტურის გაცემის გარეშე. აღნიშნული მექანიზმები და განხორციელებული პროცედურები უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.3.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მასში ასახულია ინფორმაცია პროგრამების შესახებ: პროფესიული განათლების დონე, სწავლების ენა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა, სწავლის საფასური, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კოორდინატორის საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები, საკვანძო კომპეტენციები და უნარები. კატალოგი არის საიმიჯო და დაწესებულების შესახებ დაინტერესებულ პირებს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.3.4 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა - კატალოგი არის 2024 წლის. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მისი ცვლილება და განახლება ხდება ყოველი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.3.5 შეფასდა შესაბამისად, პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ჯიპას სოციალური მედიის პლატფორმების 2024 წლის 01 მაისი- 05 სექტემბრის პერიოდის ანგარიში სადაც ასახულია დაწესებულების გაანალიზებული ინფორმაცია კონტენტის მიმოხილვის, ტოპ პოსტების, სტატისტიკის, აუდიტორიის, რეკლამების რეპორტის, ტოპ რეკლამების გამოვლენის, ძებნის ისტორიის შესახებ.

გარდა ამისა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მუდმივად ხდება შემოსული კითხვების, პრობლემური სიტუაციებისა და გამოწვევების ანალიზი, რის შედეგადაც იცვლება შესაბამისი საკითხისადმი მიდგომა. შესაბამისად ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 5.2.3.5 შეფასდა შესაბამისად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ვებგვერდი https://gipa.ge/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

- Facebook, Instagram, Youtube გვერდი/არხი;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდის, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების ადმინისტრირების წესის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 13 მარტის ბრძანებით);
- ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის „გრენა“ დომენების Gipa.ge და Gipa.edu.ge ფლობის დამადასტურებელი წერილი, მომსახურების ხელშეკრულება და გადახდის ქვითრები;
- პროგრამების კატალოგი;
- ჯიპას სოციალური მედიის პლატფორმების 2024 წლის 01 მაისი- 05 სექტემბრის პერიოდის ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0172
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №22ა
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	96
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

.....
.....
.....

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების რექტორის №01-24/312 ბრძანებით (02/10/2024) - "ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია A გარემო-1 (№214), AC გარემო- 1 (№213), B გარემო-1 (№207).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგადდადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღწურვილია შემდეგი რაოდენობის ინვენტარით:

A გარემო-1 (№214) – 24 ადგილი	**AC გარემო- 1 (№213) – 30 ადგილი**	**B გარემო-1 (№207) – 30 ადგილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სტუდენტის მაგიდა - 24 სტუდენტის სკამი - 24 მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1 მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1 პროექტორი - 1 კომპიუტერი- 1	სტუდენტის მაგიდა - 30 სტუდენტის სკამი - 30 მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1 მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1 ეკრანი - 1 კომპიუტერი - 1 დაფა - 1	სტუდენტის მაგიდა - 30 სტუდენტის სკამი - 30 კომპიუტერი - 30 მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1 მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1

სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კომპიუტერულ აუდიტორიას პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა AC სასწავლო გარემო. აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია პროგრამით განსაზღვრული საჭირო მატერიალური რესურსი. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ USAID-ის გრანტის ფარგლებში, პროგრამის განხორციელებისთვის შეძენილ იქნა შემდეგი მატერიალური რესურსი - ფიზიკური ფაქტორების (ხმაური, მტვერი, განათება, ვიბრაცია, რადიაცია, ტენიანობა, ტემპერატურა, ქარის სიჩქარე) მზომი დოზიმეტრები და ხელსაწყოები, ცეცხლმაქრები სხვადასხვა სახის მასალების (A, B, C, D, E) წვის ქრობისთვის განკუთვნილი, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, პირველადი დახმარების ნაკრები, CPR მანეკენი სიმულაციური სწავლებისთვის, პირველადი დახმარების გასაწევი ინვენტარი და სხვ. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ დაწესებულების საკუთრებაში არსებული პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 24 პროფესიული სტუდენტისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან: შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'' – 20 სტუდენტი; შპს აი სი პი - 3 სტუდენტი; შპს ჯეო სეიფთი - 13 სტუდენტი; შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური - 10 სტუდენტი; შპსსაფკო - 3 სტუდენტი; შპს ,,კოსი'' – 14 სტუდენტი; შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი - 5 სტუდენტი; შპს ,,დეველორი“ – 7 სტუდენტი.

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 51 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 39 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ჰყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგებისა გათვალისწინებით მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 8 მაისის N01-18/083

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და დამხმარე პერსონალის შერჩევის, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის, პროფესიული განვითარების საკითხებს, ასევე პოლიტიკით განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის) საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები.

გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, რომ დაწესებულების მიერ განხორციელდა სწავლებისა და შეფასების მიდგომების გაცნობა და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. დაწესებელებამ წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგების დასწრების ფურცლები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება დასტურდება ტრენინგების გავლის სერტიფიკატებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათ ლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის თანახელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ორივე პოზიციის სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობებისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პოზიციები არ ფარავს ერთმანეთის ფუნქციებს- პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ხოლო პროგრამის თანახელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, ორივე პირს უდასტურდება ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას.

ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას, თუმცა <u>ექპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია ქვეყანაში მოქმედი კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტების ცვლილებების, შემუშავებული სასწავლო რესურსების და დარგში მიმდინარე სიახლეების შესაბამისად მოახდინოს მოდულებში სასწავლო რესურსების განახლება.</u>

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით) თანახმად გაწერილია მუხლი 38. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაგეგმვა, სადაც წარმოდგენილია შშმ და სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის გაწერის მექანიზმები, უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა, რესურსზე (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბი და სხვა) წვდომა და სასწავლო რესურსების ადაპტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც წარმოიქმნა სტუდენტის მობლობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 შეფასდა შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 69 პროფესიული სტუდენტი. სწავლის საფასურის 70% არის ვაუჩერული დაფინანსება, 30% - ს იხდის სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების რექტორის №01-24/312 ბრძანებით (02/10/2024) - “ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ”;
- ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (დამტკიცებულია: ბრძანება №01/17/103; 13 სექტემბერი 2017; ცვლილებები ბრძანებაში: 01-24/331; 10 ოქტომბერი, 2024)
- სარეკომენდაციო სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაცემთა ცხრილი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 8 მაისის N01-18/083 ბრძანებით);
- პროფესიულ მასწავლებელთა შესაძლებლობის გაძლიერების ტრენიგის დსწრების ფურცლები;
- სასწავლო რესურსების ელექტრონული კატალოგი;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრების, სასწავლო ცხრილებისა და კალენდარული გეგმების შესწავლის შედეგად დაადგინეს, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1 შეფასდა შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ხორციელდება ცვლებში. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფების განაწილების დროს ხდება სტუდენტთა საჭიროებების მოკვლევა და შესაბამისი სასწავლო ცვლის შეთავაზება.

გარდა ამისა სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მათ უწევს შესაბამის მხარდაჭერას და გადაცემს სწავლისთვის საჭირო ტექნიკურ მოწყობილობებს დროებით საკუთრებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე გარემოში შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე მოწყობილობები, აპარატურა და ინვენტარი რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3 შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც წარმოიქმნა სტუდენტის მობლობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი სტუდენტთა საჭიროებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4 შეფასდა შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული 8 პრაქტიკის განმახორციელებელ შემდეგ კომპანიებთან: შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'' – 20 სტუდენტი; შპს აი სი პი - 3 სტუდენტი; შპს ჯეო სეიფთი - 13 სტუდენტი; შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური - 10 სტუდენტი; შპსსაფკო - 3 სტუდენტი; შპს ,,კოსი'' – 14 სტუდენტი; შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი - 5 სტუდენტი; შპს ,,დეველორი“ – 7 სტუდენტი.

მემორანდუმის გაფორმებულია 5 წლის ვადით და მის მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კერძო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ერთის მხრივ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებსითვის პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების და მეორეს მხრივ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მემორანდუმში დაკონკრეტებულია იმ სტუდენტთა რაოდენობა რომელთა მიღება შეუძლია კომპანიას, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით. თუმცა დოკუმენტში არ არის მოცემული პროგრამისა და მოდულების დასახელება/შედეგების ჩამონათვალი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან გასაუბრების დროს მოხდა განმარტება, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ზოგად მემორანდუმს, ხოლო დაწესებულების მხრიდან პრაქტიკის ობიექტებთან ყოველ წელს ხდება ხელშეკრულების, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას პროგრამის დასახელების, მოდულების, შედეგების, სტუენტთა რაოდენობის, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ. დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა აღნიშნული ხელშეკრულებები.

ექსპერტთ ჯგუფის მიერ პრაქტიკის განმახორვიელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა, რომ ისინი შეუფერხებლად ახორციელებენ აღნიშნული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულს, განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა და უზუსტობა არ გამოვლენილა, მათი მხრიდან იგეგმება პრაქტიკის კომპონენტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული ასევე დადასტურდა პრაქტიკის ჩანაწერებით, დღიურებითა და სტუდენტებთან გასაუბრებით. ექსპერტთა მხრიდან მემორანდუმების, ხელშეკრულებებისა და ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ დაწესებულების პრაქტიკის ობიექტებთან ურთიერთობა გამყარებულია შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაციით, რაც ხელს უწყობს და იძლევა შესაბამისი მიზნების მიღწევის გარანტიას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.5 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, პრაქტიკის ობიექტზე კი სპეციფიური უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6 შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში მუხლი. 100 გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი და ვალიდაციას გადის პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული სწავლების კოორდინატორთან. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოდულის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთხელ. დოკუმენტით ასევე გაწერილია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბაისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთნ და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები. იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს, თუმცა არასოდეს დასჭირვებიათ მისი გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1 შეფასდა შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში მუხლი. 101 გაწერილია ვერიფიკაციის მექანიზმი. დაწესებულებაში ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანების საფუძველზე. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტის შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ). შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება რისკ-ფაქტორების ანალიზის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლის შემდგომი რეაგირების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა ჩატარებული ვერიფიკაციის პაკეტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებები დაცულია და ინახება სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევის პრინციპით მოხდა მტკიცებულებების არსებობის შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად სწავლის ხარისხის შეფასების დროს დაწესებულება სხვა ფაქტორებთან ერთად ეყრდნობა შემდეგ მიმართულებებს სასწავლო პროცესის შიდა შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა.

პროფესიულ მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი შეფასების შედეგებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით და დაბალი უარყოფითი მაცვენებლის შემთხვევაშიც კი ცვლიან სწავლების მიდგომებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.4 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით);
- შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
- ვერიფიკაციის პაკეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

03.12.2024
.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----